

ორგანოთა ტრანსპლანტაცია
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)

პროგრამა შედგება ორი კომპონენტისაგან, ღვიძლის ტრანსპლანტაცია და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია.

ღვიძლის ტრანსპლანტაციას მიმართავენ ღვიძლის დაავადების ტერმინალური სტადიის მკურნალობის მიზნით, ტრანსპლანტაცია გულისხმობს დაავადებული ღვიძლის ნაწილობრივ შეცვლას სხვა ადამიანის ჯანმრთელი ღვიძლის ნაწილით.

ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია არის დაზიანებული ან მთლიანად განადგურებული ძვლის ტვინის ახალი ძვლის ტვინის უჯრედებით ჩანაცვლება. ლეიკემიის და ლიმფომების შემთხვევაში ხშირად წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარევას პაციენტის გადასარჩენად.

პროგრამით მოსარგებლები არიან:

- ✓ საქართველოს მოქალაქეები რომელთაც აქვთ ტრანსპლანტაციის სამედიცინო ჩვენება, ამავდროულად მოქალაქე არ უნდა იყოს რეგისტრირებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. იმ მოქალაქეებისთვის რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ანალოგიური პროგრამის სარგებლობის მიზნით უნდა მიმართონ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს, სადაც მოქმედებს დაფინანსების იდენტური მექანიზმი.

ღვიძლის ტრანსპლანტაცია:

ღვიძლის ტრანსპლანტაცია განფასებულია 120 000 ლარად, პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 70 000 ლარი, პაციენტის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს არაუმეტეს 50 000 ლარს.

ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია:

პაციენს რომელსაც შესაბამისი პროფილის კლინიკაში დაესმება დიაგნოზი პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

პროგრამის ფარგლებში ხდება შემდეგი ჩარევების დაფინანსება

- მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია;
- ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები;
- ტრანსპლანტაცია პაციენტისათვის საკუთრი ღეროვანი უჯრედების, ტრანსპლანტაცია, დონორის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია, და

ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია, ანუ ნათესავის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებით სარგებლობის წესი

ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის დაფინანსება ხორციელდება ვაუჩერის სახით, ვაუჩერის მისაღებად მოსარგებლე პირმა/მისმა წარმომადგენელმა, უნდა მიმართოს სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს დაფინანსების მისაღებად საჭირო შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში, ასევე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარეთ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ✓ არასრულწლოვნის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი) ასლი, აგრეთვე არასრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლი;
- ✓ სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა № IV-100/ა. ც ნ ო ბ ა. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.ტრანსპლანტაციის საბჭოს ან სასამართლოს თანხმობა ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღების შესახებ;
- ✓ მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებიდან, მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინვოისი).
- ✓ ნათესაური დონაციის შემთხვევაში პაციენტი ტრანსპლანტაციაზე თანხმობის მისაღებად განცხადებით მიმართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტრანსპლანტაციის საბჭოს, არა ნათესაური დონაციის შემთხვევაში პაციენტმა ტრანსპლანტაციაზე თანხმობის მისაღებად უნდა მიმართოს სასამართლოს.

მაღალდოზირებული ქიმიოტერაპიის, ტრანსპლანტაციის წინა კვლევებისა და ტრანსპლანტაციის სერვისებზე დაფინანსების მოთხოვნა არ ხორციელდება ერთდროულად, თითოეულზე უნდა მოხდეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დაფინანსების მისაღებად მოსარგებლე პირმა/მისმა წარმომადგენელმა, უნდა მიმართოს სსიპ- ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს დაფინანსების მისაღებად საჭირო შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში, ასევე,

იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- ✓ არასრულწლოვნის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი) ასლი, აგრეთვე არასრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლი;
- ✓ სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა № IV-100/ა. ც ნ ო ბ ა. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კონსილიუმის დასკვნა (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკების არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას), პაციენტისთვის ძვლის ტვინის (დეროვანი უჯრედის) ტრანსპლანტაციის ჩატარების საჭიროების თაობაზე, კონსილიუმს იწვევს და დასკვნას გასცემს მკურნალი კლინიკა;
- ✓ მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებიდან, მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინვოისი).
- ✓ იმ შემთხვევაში თუ პაციენტს ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში უკვე წარმოდგენილი აქვს მითითებული დოკუმენტაცია რომელიმე ამ სერვისის მიღების მიზნით, იგივე დოკუმენტაციის მეორედ წარმოდგენა აუცილებელი არ არის

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05